ბელა სარია
ეთერ აფხაზავა

ტესტები

კითხვისა და წერის უნართა განვითარებისათვის

III

დიოგენე
დაწყებითი
სკოლა

რედაქტორი	**თინათინ ბოლქვაძე**
დიზაინერი და ტექნიკური რედაქტორი	**დალი ჯვარშეიშვილი**
ყდის დიზაინერი	**ანა ოსიაშვილი**

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024, I გამოცემა
© ბელა სარია, ეთერ აფხაზავა

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-894-4

გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, აფაქიძის ქ. 9, ტელეფონი 221 33 21

elfosta adm@diogene.ge

www.diogene.ge

რედაქტორისაგან

ტესტების წინამდებარე კრებული ეფუძნება დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად მოთხოვნებს. თითოეული ტესტი კომპლექსურია. მოიცავს სხვადასხვა ჟანრის ტექსტებსა და მათზე დაყრდნობით შექმნილ დახურულ თუ ღია ტიპის, მრავალფეროვან, სახალისო ტესტურ და შემაჯამებელ-შემოქმედებით წერით დავალებებს.

ტესტის მიზნია დაეხმაროს მოსწავლეს ცოდნის გამოვლენასა და გაღრმავებაში.

შეთავაზებული ტესტური დავალებები მსწავლელს გაწაფული კითხვის, ტექსტში მოცემული ინფორმაციის გაგება-გააზრების, კრიტიკული შეფასებისა და პირადი დამოკიდებულების გამოხატვის უნარ-ჩვევათა განვითარებასა და სრულყოფაში ეხმარება.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწალეს აქვს საშუალება შეადგენოს ტესტში მოცემული საკთხავი მასალის ანალოგიური სტრუქტურის, ჟანრისა და ფუნქციური დანიშნულების მქონე მცირე ზომის ტექსტები.

ტესტური დავალებები მოსწავლეს ხელს უწყობს, კონკრეტული ამოცანების გადაჭრის მიზნით, ფუნქციურ კონტექსტზე დაყრდნობით, სწორად გამოიყენოს ენობრივ-გრამატიკული საშუალებები და ლექსიკა (სინონიმები, ანტონიმები, ფრაზეოლოგიზმები და სხვ.).

ტესტებს ახალავს თვალსაჩინო მასალა (სქემები, ილუსტრაციები, ტიპოგრაფიული მინიშნებები...), რომელიც საკითხავებით დაინტერესების ერთგვარ სტიმულს აძლევს მოსწავლეს.

ტესტური კრებულის უნიკალურობას აპირობებს ლექსიკური სამუშაოები, რომელთა შესრულება მოითხოვს სიტყვის აგებულებაზე, თხზვასა და სიტყვათწარმოებაზე დაკვირვებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას.

კრებულის ბოლოს დართულია სწორი პასუხები, რათა მოსწვლემ თავად შეძლოს შედეგების შემოწმება.

ვიმედოვნებთ, ბელა სარიასა და ეთერ აფხაზავას მიერ შექმნილი ტესტურ დავალებათა კებული თავის ფუნქციას შეასრულებს და მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი იქნება დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის.

პროფესორი

თინათინ ბოლქვაძე

ტესტი 1

გააფერადე

ყაყაჩოსა სიწითლითა

ფრთაგაშლილი მთები არის,
სხივგაშლილი სერებია,
იქ ჩურჩულებს ლელიანი,
გული შეუჯერებია...

აქ კორდია მობიბინე,
იქ მზიანი ტევრებია,
- რად უსკდება გული ირემს?
- გელა გადამტერებია...

თეთრი ნისლი ნისლებს ირევს,
ეს ხომ ლურჯა ცხენებია!
შვიდი ზეცა გადირბინეს,
არსად შეუსვენებიათ...

ამ მშვენიერ მინდორ-ველზე,
რანაირი ფერებია?!
„ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია..."

ანა კალანდაძე

კითხვები და დავალებები:

1. დაასრულე სიტყვები.

გურამ ◯
თამარ ◯
მარიამ ◯
მერაბ ◯

სამშობლო ასახელეს.

2. ა) დაწერე ნიმუშის მიხედვით ზედსართავი სახელები.

რა?	როგორი?
მზე	მზიანი
ნისლი	
გული	
ცხენი	

ბ) თითოეულ ზედსართავს შეუწყვე შესაფერისი არსებითი სახელი (არსებით სახელებს ნუ გაიმეორებ).

ნიმუში: მზიანი დილა.

_____

3. ჩაწერე რგოლებში საქართველოს კუთხეების სახელები.



4. განაგრძე ჩამონათვალი:

კახეთი — კახელი, _____

_____

_____

5. მოცემული სიტყვების შეერთებით მიიღე ახალი სიტყვები. სიტყვები შეაერთე დეფისით.

1. სახლი და კარი — _____

2. მთა და ბარი — _____

3. მინდორი და ველი — _____

6. რას ნიშნავს?

1. გული უსკდება:
ა) ბრაზდება; ბ) ეშინია; გ) წუხს; დ) დარდობს.

2. გული დაუმძიმდა:
ა) ატირდა; ბ) შეეშინდა; გ) შეწუხდა; დ) გაბრაზდა.

3. გულში გაივლო:
ა) დაიმახსოვრა; ბ) გაიფიქრა; გ) გაუხარდა; დ) დაინახა.

4. გული გაიმაგრა:
ა) გამხნევდა; ბ) დაფიქრდა; გ) დამშვიდდა; დ) გათავისუფლდა.

7. **ამოწერე I და II სტროფებიდან ის სიტყვები, რომელთა გამოყენებითაც ანა კალანდაძე გადმოგვცემს ჩვენი სამშობლოს მშვენიერებას.**

8. **ამოიწერე ლექსიდან სტრიქონი, რომელშიც მცენარეებს ადამიანის თვისება მიეწერებათ.**

9. **დაალაგე სიტყვები ისე, რომ წინადადებები მიიღო. ყოველი წინადადების ბოლოს დასვი საჭირო სასვენი ნიშანი.**

1. სამშობლო / ჩემი / სახატე / მთელი / ხატია / ქვეყანა

2. მტრობას / რაც / სიყვარულს / დაუნგრევია / უშენებია

10. **დაწერე თხზულება — ჩემი სამშობლო.**

✓ აღწერე ჩვენი სამშობლოს ბუნება, მისი მთა და ბარი;

✓ ისაუბრე, როგორი ხალხი ცხოვრობს საქართველოში და რომელია მათი გამორჩეული თვისებები.

ჩემი სამშობლო

ტესტი 2

გააფერადე

მზე

მზე ვარსკვლავია, რომელიც ყვითლად ანათებს. ის იმ ვარსკვლავების მსგავსია, რომლებსაც ღამით ცაზე ვხედავთ, ოღონდ გაცილებით უფრო ახლოსაა ჩვენთან. მისი შუქი დედამიწამდე რვა წუთში აღწევს. მზე დედამიწაზე ბევრად დიდია. მასზე დედამიწის ტოლი უამრავი პლანეტა დაეტეოდა.

მზე სინათლის გარდა სითბოს გვაძლევს. უმზეოდ დედამიწაზე სიბნელე და სიცივე იქნებოდა. მზე სიცოცხლის წყაროცაა. მის გარეშე დედამიწაზე სიცოცხლე არ იარსებებდა.



დედამიწა

დედამიწა ბურთივით მრგვალია. იგი კოსმოსიდან ლურჯად ჩანს, რადგან მისი ზედაპირის დიდი ნაწილი წყლითაა დაფარული.

დედამიწა შეუჩერებლად ბრუნავს მზისა და თავისი ღერძის გარშემო. დედამიწის იმ მხარეზე, რომელიც მზეს უყურებს, დღეა, მეორე მხარეზე — ღამე.

დედამიწა მზის სისტემის ერთადერთი პლანეტაა, რომელზედაც სიცოცხლე არსებობს.

საბავშვო ენციკლოპედია

კითხვები და დავალებები:

1. მითითებების მიხედვით შეარჩიე სიტყვები წინადადების შესადგენად.

- **ტექსტიდან „მზე“ ამოიწერე:**

  ა) პირველი წინადადებიდან ერთმარცვლიანი სიტყვა — ____________

  ბ) მეოთხე წინადადებიდან ხუთმარცვლიანი სიტყვა — ____________

  გ) მეექვსე წინადადებიდან სამმარცვლიანი სიტყვა — ____________

- **დაწერე სიტყვა, რომელიც „ნაკადულს“ აღნიშნავს —** ____________

- **დაუმატე ერთ-ერთ სიტყვას „არის“ (ან შემოკლებით - „ა“) და ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადება.**

____

2. „ღერძი“ — ამ სიტყვაში გამოყენებული ასოებით შეადგინე ახალი ხუთი სიტყვა.

____

3. შეავსე ცხრილი ტექსტიდან ამოწერილი სიტყვებით.

არსებითი სახელი	**ზედსართავი სახელი**	**რიცხვითი სახელი**	**ზმნა**

4. დაუწერე ✘ წინადადებას, რომელშიც გადმოცემულია აკრძალვა.

1.	მეცნიერები მზეს სპეციალური აპარატურით აკვირდებიან.	
2.	მცხუნვარე მზის ქვეშ დიდხანს ნუ გაჩერდებით!	
3.	ადამიანები ბუნების დასაცავად ზრუნავენ.	

5. დაასრულე სიტყვები.

1. თბილისში მილიონ( ) მეტი ადამიანი ცხოვრობს.

2. მზე დადამიწა( ) დიდია.

3. როცა დედამიწის ერთ მხარე( ) დღეა, მეორე( ) ღამეა.

6. გაარკვიე, რომელი წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, რომელი — არა. აღნიშვნებისთვის გამოიყენე ✘ და ✓.

	წინადადებები	**სწორია (✘)**	**არასწორია (✓)**
1.	დედამიწა ვარსკვლავია.		
2.	დედამიწა ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო.		
3.	მზე ბრუნავს დედამიწის გარშემო.		
4.	დედამიწა ყვითლად ანათებს.		
5.	დედამიწაზე წყალი მეტია, ვიდრე — ხმელეთი.		
6.	დედამიწა კოსმოსიდან ლურჯად ჩანს.		

7. შეავსე ცხრილი ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში:	**მზიანი**	**უმზეო**
1.	ღრუბლიანი	
2.		უწყლო

8. დააკავშირე ისრებით წინადადებების ნაწილები.

1. მზე ვარსკვლავია, — რომელიც მზეს უყურებს.
2. სინათლე დედამიწის იმ მხარეზეა, — მასზე სიცოცხლეც არ იქნებოდა.
3. დედამიწას მზე რომ არ ათბობდეს, — ამიტომ ანათებს.

9. შეარჩიე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვებიდან ერთ-ერთი და ჩაწერე წინადადებებში.

1. დედამიწა კოსმოსიდან ლურჯად ჩანს, _____ მისი ზედაპირის დიდი ნაწილი წყლითაა დაფარული. **(როდესაც, რადგან, იმისათვის)**
2. უმზეოდ დედამიწაზე სიბნელე და სიცივე იქნებოდა, _____ სწორედ მზე გვაძლევს სინათლესა და სითბოს. **(სადაც, როცა, რადგან)**

10. წაიკითხე ცნობები მთვარის შესახებ; მათი გამოყენებით შეადგინე ტექსტი და შეავსე დამატებითი ინფორმაციით შენი ცოდნიდან, გამოცდილებიდან.

ცნობები მთვარის შესახებ

1.	დედამიწის თანამგზავრი
2.	დედამიწაზე 50-ჯერ პატარა
3.	ნათდება მზის სხივებით.
4.	ბრუნავს დედამიწის გარშემო.
5.	არ არის სიცოცხლე.

მთვარე

გლახაკი და ქილა ერბო

იყო ერთი ღარიბი გლეხი. არც სახნავი ჰქონდა, არც სათესი, არც სახლი და არც კარი. ერთ დღეს იგი ქალაქში წავიდა სამუშაოდ. გზაზე ერთი ქილა ერბო იპოვა. აიღო ქილა, ყურში ჯოხი გაუყარა და მხარზე გაიდო. მიდის და გზადაგზა გამდიდრებაზე ოცნებობს.

– ჩავალ ქალაქში, ერბოს მანეთად გავყიდი. იმ ფულით თორმეტ ვარიკას ვიყიდი, დავზრდი, დავასუქებ, მერე ჩავიყვან ქალაქში და თითოს ათ-ათ შაურად გავყიდი. ნაშოვნი ფულით გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ და ორ-ორ მანეთად გავყიდი. შემდეგ სახარე ხბორებს ვიყიდი, ხარებად გავზრდი, გავმართავ ურემს, გუთანს, მოვხნავ, დავთესავ და ავშენდები.

ამ ფიქრებში რომ იყო, ვითომ ურემს შეშა კიდეც დაუდო და ქალაქში წაიღო გასაყიდად. ერთი ესეც იფიქრა, აქ ხომ ხარი ძნელად გაივლის, ხმა უნდა მივცეო, – და შესძახა:

– ჰამოო! – თან ჯოხიც მოუქნია. ერბოიანი ქოთანი ძირს დავარდა და გატყდა, ერბოც სულ დაიღვარა.

დარჩა ჩვენი მეოცნებე გლეხი ისეთივე ღარიბი, როგორიც იყო.

სულხან-საბა ორბელიანი

კითხვები და დავალებები:

1. ამოწერე:

1. პირველი წინადადების მეოთხე სიტყვის მეოთხე ასო;
2. პირველი აბზაცის ბოლო წინადადების მესამე სიტყვის ბოლო ასო;
3. ბოლო აბზაცის პირველი სიტყვის მესამე ასო;
4. ბოლო აბზაცის მეექვსე სიტყვის მეოთხე ასო;

2. „დ“ თუ „თ“?

სამუშაო	იქი	ზევი
კარგა	გასაყიდა	სწრაფა

3. ა) ნიმუშის მიხედვით შეავსე სქემა.

I	II	III
წიწილა	**წიწილები**	**სამი წიწილა**
ვარიკა		ათი ...
	ხბორები	რამდენიმე ...
გოჭი		ბევრი ...
	ხარები	ორიოდე ...

ბ) III სვეტში მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები.

_____

_____

_____

4. მოიფიქრე და ჩაწერე ცხრილში ზმნები, რომლებითაც გადმოსცემ გლეხის განწყობას.

ქილა ერბოს პოვნისას	ქილის გატეხის შემდეგ
1.	1.
2.	2.
3.	3.

5. სიტყვა „ყურს“ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. რომელი მნიშვნელობითაა იგი გამოყენებული ტექსტში? შემოხაზე სწორი პასუხი.

ა) სმენის ორგანო;

ბ) ჭურჭლის ხელის მოსაკიდებელი ნაწილი;

გ) რაიმე კუთხოვანი საგნის კუთხე, წვერი.

6. ა) „ერბოიანი ქოთანი *ძირს* დავარდა“. დაწერე ხაზგასმული სიტყვის სინონიმი.

ძირს — _____

ბ) შეადგინე წინადადება. გამოიყენე სიტყვა „ძირი“ სხვა მნიშვნელობით.

_____

7. როგორ იტყოდი სხვაგვარად?

1. სულმა წასძლია — _____

2. თვალი აეხილა — _____

8. **რომელი თვისებები ამხილა სულხან-საბა ორბელიანმა ამ იგავ-არაკით? შემოხაზე სწორი პასუხები.**

ა) სულსწრაფობა; ბ) სიძუნწე; გ) მცონარობა;

დ) წინდაუხედაობა; ე) ვერაგობა; ვ) სიხარბე.

9. **დასახული მიზნის მისაღწევად რა უნდა გააკეთოს ადამიანმა? შემოხაზე სწორი პასუხი.**

ა) ბეჯითად იშრომოს. ბ) საკმარისია, მხოლოდ იოცნებოს.

გ) სხვებს გააცნოს თავისი მიზანი.

10. **ტექსტის მიხედვით დაწერე: რა გადახდა კაცს თავს და რა წარმოიდგინა მან.**

I. ნამდვილი (რა გადახდა?)	II. წარმოსახული (რა წარმოიდგინა?)

11. **დაწერე შენი ოცნებების შესახებ.**

✓ რა არის შენი ოცნება?

✓ რატომ გაგიჩნდა ეს ოცნება?

✓ ვინ და რით შეიძლება დაგეხმაროს შენი ოცნების ასრულებაში?

✓ რა უნდა გააკეთო ოცნების ასასრულებლად?

ჩემი ოცნება

თაფლის წვეთი

ჭიანჭველების ხელმწიფეს დაბადების დღე ჰქონდა. ფუტკრების დედოფალმა მისალოცად ელჩი გაუგზავნა.

ხელმწიფემ სტუმარი დიდი პატივით მიიღო. ათასნაირი შემწვარ-მოხრაკულითა და ხილ-ჩურჩხელით გაუმასპინძლდა. საუკეთესო ღვინო ჯიხვის ყანწებით მიართვა. დამშვიდობებისას ვერცხლის ქამარ-ხანჯალი უბოძა. ასი ჭიანჭველა საგზლით დაუტვირთა და, გზაში არაფერი გაუჭირდესო, სამეფო საზღვრამდე ულვაშებდაწკეპილი მეომრები გააყოლა.



ფუტკარმა გზად იონჯის ყანები ნახა. იფიქრა, ცარიელმა რატომ ვიაროთ, იონჯის ყანებს დააცხრა, თაფლი მოაგროვა და ისევ გზას გაუდგა. საზღვრამდე მივიდნენ. გამომშვიდობებისას ჭიანჭველებმა უთხრეს: – ეგ თაფლი, ბატონო ელჩო, აქ დაგვიტოვე და ისე მიბრძანდიო!

ფუტკარს გაუკვირდა:

– თქვე კაი ხალხო, ასი ჭიანჭველა საგზლით დამიტვირთეთ და ეს ერთი წვეთი თაფლი რაღა ბედენაა, რომ გენანებათ და მატოვებინებთ?

– ჭიანჭველებმა მიუგეს: – ის ჩვენი ნებით მოგართვით, ეგ კი დაუკითხავად მიგაქვს. გეთხოვა, სამას ჭიანჭველას თაფლით დაგიტვირთავდით და ძღვნად მოგართმევდით, უნებართვოდ კი ერთ წვეთსაც არ გაგატანთო!

ფუტკარმა გაიფიქრა, ფუტკარი მაინც არ ვიყო, ეს სასირცხვილო საქმე როგორ დამემართაო. თაფლი ჭიანჭველებს დაუტოვა და დარცხვენილი შინისკენ გაფრინდა.

ჭაბუა ამირეჯიბი

კითხვები და დავალებები:

1. შეარჩიე ფრჩხილებში მითითებული მარცვლებიდან შესაბამისი და დაურთე ზმნებს.

1. ფუტკარმა თაფლი ჭიანჭველებს ____ უტოვა. **(მი-, და-, შე-)**
2. ფუტკარმა ქამარ-ხანჯალი წელზე ____ ირტყა. **(გადა-, შემო-, ჩამო-)**
3. სტუმარი დიდი პატივით ____ იღეს. **(გა-, წა-, მი-)**
4. ფუტკარი გზას ____ უდგა. **(მი-, ჩა-, გა-)**

2. ა) შეავსე ცხრილი კითხვების მიხედვით.

რა?	**რის?**	**რით?**
ფუტკარი		
ხანჯალი		
ქამარი		

ბ) რომელი ასო-ბგერა დაიკარგა? _____

3. იპოვე ტექსტში დეფისით შეერთებული სიტყვები და დააკვირდი მათ დაწერილობას. ქვემოთ ჩამოთვლილთა დაწყვილებით მიიღე ამგვარი რთული სიტყვები.

სტუმარი	ქამარი	მასპინძელი	და
ხანჯალი	ძმა	შემწვარი	დედა
მოხარშული	შვილი	წვერი	ულვაში

_____

_____

_____

4. დაწერე საპირისპირო შინაარსის სიტყვები:

არაფერი — _____ არსად — _____

არავინ — _____ არასოდეს — _____

5. როგორ კაცზე იტყვიან — ულვაშებდაწკეპილიო? შემოხაზე სწორი პასუხები.

ა) დონდლოზე; ბ) თავმომწონეზე;

გ) კოხტაზე; დ) მოუწესრიგებელზე.

6. რადგან თუ რათა? — შეარჩიე თითოეული წინადადებისათვის ერთ-ერთი და ჩაწერე.

1. ხელმწიფემ სამეფო საზღვრამდე ფუტკარს მეომრები გააყოლა, _____ გზაში არაფერი გასჭირვებოდა.
2. ხელმწიფემ ფუტკარი დიდი პატივით მიიღო, _____ იგი მისი სტუმარი იყო.
3. ჭიანჭველები გაბრაზდნენ, _____ ფუტკარმა თაფლი დაუკითხავად აიღო.

7. რა თვისებები გამოავლინეს ჭიანჭველებმა? შემოხაზე სწორი პასუხები.

ა) უმადურობა; ბ) გულუხვობა;

გ) უყურადღებობა; დ) სამართლიანობა.

8. რა თვისებები გამოავლინა ფუტკარმა იონჯის ყანების დანახვისას? შემოხაზე სწორი პასუხები.

ა) სიხარბე; ბ) თავშეკავება; გ) წინდაუხედაობა; დ) ქედმაღლობა.

9. წაიკითხე ცნობები ფუტკრისა და თაფლის შესახებ. აღნიშნე ✘ ნიშნით, რომელი ინფორმაცია შეესაბამება ფუტკარს, რომელი — თაფლს.

№	ინფორმაცია	ფუტკარი	თაფლი
1.	დედამიწის გაცილებით ადრეული ბინადარია, ვიდრე ადამიანი.		
2.	მოშინაურებულია დიდი ხნის წინ.		
3.	საკვებ პროდუქტად და სამკურნალო საშუალებად გამოიყენება.		
4.	თაფლის შესაგროვებლად 46 კილომეტრზე მეტს დაფრინავს.		
5.	გამოირჩევა გამძლეობითა და სიმშვიდით.		
6.	როგორც ირკვევა, არასოდეს სძინავს.		
7.	არსებობს 30 ათასი სახეობა.		
8.	„მათემატიკოსს" უწოდებენ, რადგან ირკვევა, რომ მისი ფიჭის კუთხეები ყოველთვის ტოლია.		
9.	ძალიან კარგად ინახება.		

10. მე-9 სავარჯიშოში მოცემული ინფორმაციის მიხედვით დაწერე მოკლე ტექსტი ფუტკრისა და თაფლის შესახებ.

ტესტი 5

საგმირო ლახტი

ადრე ამ ქვეყანაზე დევები ბატონობდნენ. ჭამდნენ ნადირის ხორცსაც და ადამიანებსაც. მათგან დაშინებული ადამიანები მიწურებში ცხოვრობდნენ და გარეთ ვერ გამოდიოდნენ. მათი შიშით ჭიანჭველაც კი ვერ გაჭაჭანდებოდა.

ნახა ღმერთმა ადამიანების გაჭირვება. მან გადაწყვიტა, რომ დევების დამმარცხებელი კაცი გაეჩინა. ერთი კეთილი ქალი ამოირჩია და მას აჩუქა დევების მომრევი ბიჭი. სხვები თუ წლობით იზრდებოდნენ, ბიჭი ყოველდღიურად იზრდებოდა.

კეთილი ქალის ვაჟი ძალიან ღონიერი გახდა. მოვიდა დრო და ღმერთმა მას დევებთან საბრძოლველად ლახტი აჩუქა, ძალაც მოუმატა და უბრძანა, დევები ამოეწყვიტა.

ერთ დღეს ბიჭი დევებს ფაცერთან დახვდა. ატყდა დაუნდობელი ბრძოლა. მოიქნია ლახტი ბიჭმა და ცხრა ყველაზე ბოროტ დევს ერთად გააფრთხობინა სული. ბევრი დევი დახოცა კეთილი ქალის ვაჟმა, გადარჩენილებმა გამოქვაბულებს შეაფარეს თავი და არავის აღარ ერჩოდნენ.

ადამიანებმა ბედნიერი ცხოვრება დიწყეს. მთელი სოფელი ემადლიერებოდა ვაჟკაცს.

ქართული მითი

კითხვები და დავალებები:

1. **მითითებების მიხედვით ამოიწერე ტექსტიდან მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც არ დაიყოფა გადასატანად.**

   1. სიტყვა, რომელშიც ორი ასო-ბგერაა: _____
   2. სიტყვა, რომელშიც სამი ასო-ბგერაა: _____
   3. სიტყვა, რომელშიც ოთხი ასო-ბგერაა: _____

2. **იპოვე სიტყვები სიტყვებში და ამოწერე.**

   1. დაშინებული _____
   2. ქვეყანა _____
   3. ბედნიერი _____
   4. გოლიათი _____
   5. ხევი _____
   6. ლოდინი _____

3. **დაწერე ჩამოთვლილთა გამაერთიანებელი სიტყვა.**

შუბი, ხმალი, ლახტი, ხანჯალი — _____

4. **ზრდადობის მიხედვით დაალაგე დროის აღმნიშვნელი სიტყვები: დღე, წელი, წუთი, საათი, თვე, წამი, კვირა.**

წამი, _____

5. **ჩაწერე რგოლებში ადამიანის საცხოვრისის აღმნიშვნელი სიტყვები.**



6. **ა) დაწერე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები.**

ღონიერი _____ გულქვა _____

მხდალი _____

ბ) თითოეულ ზედსართავს მიუწერე შესაფერისი არსებითი სახელი (არსებით სახელებს ნუ გაიმეორებ).

_____

_____

_____

7. **დააკავშირე ერთმანეთთან წინადადების ნაწილები. უჯრედებში ჩაწერე შერჩეული წინადადებების ნომრები.**

შედეგი: 1. ადამიანები გარეთ ვერ გამოდიოდნენ, ☐

2. ბიჭმა ადვილად დაამარცხა დევები, ☐

3. ადამიანები ბედნიერად ცხოვრობდნენ, ☐

მიზეზი: 1. რადგან მას ღმერთის ნაჩუქარი ლახტი ჰქონდა.

2. რადგან მათ დევების უკვე აღარ ეშინოდათ.

3. რადგან მათ დევები გადაემტერნენ.

8. კითხვების დახმარებით აღადგინე გამოტოვებული სიტყვები.

1. ატყდა (**როგორი?**) _____ ბრძოლა.

2. ბიჭმა (**რამდენი?**) _____ დევი დახოცა.

3. გადარჩენილებმა (**რას?**) _____ შეაფარეს თავი.

4. მთელი სოფელი ემადლიერებოდა (**ვის?**) _____.

9. არეული თანამიმდევრობით მოცემული სათაურები დანომრე აბზაცების მიხედვით.

1. დევების დამარცხება. ☐
2. ბიჭის დაბადება. ☐
3. მადლიერი სოფელი. ☐
4. ღმერთის ბრძანება. ☐
5. დევების ბატონობა. ☐

10. გაიხსენე მულტფილმი ან საბავშვო მხატვრული ფილმი, რომლის მთავარმა პერსონაჟმა გმირობა ჩაიდინა. მოკლედ გადმოეცი მისი გმირობის ამბავი. დაწერე:

✓ ფილმის დასახელება;
✓ პერსონაჟის სახელი;
✓ რა თვისებები ახასიათებს მას?
✓ აღწერე შემთხვევა, რომლის დროსაც მან ეს თვისებები გამოამჟღავნა.
✓ გადმოეცი, რით არის ეს პერსონაჟი შენთვის სამაგალითო.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

ტესტი 6

გააფერადე

ზამთარი

მარმარილოს ნაწურივით
მოიმტვრევა ბროლის ქულა;

მთას ირემი დაცემულა!
მთას ირემი დაცემულა!

სადღაც ტურფა და ლამაზი
ანაზდეულ დაღუპულა...

მთის მწვერვალებს ცის სიწმინდე
თოვლი დასდით ფეხბუმბულა;

ხეობები გასძახიან:
მთას ირემი დაცემულა!

გიორგი ლეონიძე

კითხვები და დავალებები:

1. ჩამოთვლილთაგან შეარჩიე ის ოთხი სიტყვა, რომლებიც უკავშირდება თოვლს და ჩაწერე რგოლებში.

ფიფქი. თქორი. ნამქერი. კოკისპირული. ფანტელი. ჟუჟუნა. გუნდა.



2. ა) შემოხაზე ის სიტყვები, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ ორი განსხვავებული მნიშვნელობა?

ა) ქულა; ბ) თოვლი; გ) ირემი; დ) ბარი; ე) მთა.

ბ) გამოიყენე წინადადებებში ერთ-ერთი სიტყვა ორივე მნიშვნელობით.

____

____

3. გადმოეცი იგივე აზრი ისე, რომ გამოიყენო: „ისეთი, როგორიც“.

1. მარმარილოს ნაწურივით — ______________________________

2. შვლის ნუკრივით — ______________________________

3. ცასავით კრიალა — ______________________________

4. **გამოიცანი პასუხი.**

აბლი-ბაბლი — ვერცხლის ტახტი!
მზით ავიღე, მთვარით დავდგი.

_____

5. **დაწერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: წმინდა — სიწმინდე

თეთრი — _____ ტურფა — _____

ლამაზი — _____ ცივი — _____

6. **ავტორი ლექსში ორი სხვადასხვა სიტყვით გვეუბნება, რომელი მოკვდაო. ამოიწერე ეს სიტყვები.**

_____ _____

7. **იპოვე თითოეულ რიგში ერთი ზედმეტი სიტყვა და გახაზე.**

1. ანაზდად. ხშირად. უეცრად. მოულოდნელად.
2. დინჯად. სწრაფად. მშვიდად. წყნარად.
3. ხმაურით. მდუმარედ. უსიტყვოდ. უენოდ.
4. უეჭველად. ნამდვილად. უსათუოდ. უბრალოდ.

8. **ა) გაარკვიე, რომელი ცნობა გვაწვდის სწორ ინფორმაციას ზამთრის შესახებ, რომელი — მცდარს. აღნიშვნისთვის გამოიყენე ✘ და ✓.**

№	**ცნობები ზამთრის შესახებ**	**სწორი (✘)**	**მცდარი (✓)**
1.	წელიწადის ყველაზე მკაცრი დროა.		
2.	თვეები: ივნისი, ივლისი, აგვისტო.		
3.	კავკასიონის ქედები თოვლით იფარება.		
4.	ცხოველები უზრუნველად ცხოვრობენ ტყეში.		
5.	ბავშვები გუნდაობენ და ციგაობენ.		
6.	ღამე გრძელია და დღე — მოკლე.		
7.	შობა და ახალი წელი ყველაზე მხიარული დღესასწაულებია.		
8.	დიდი და პატარა მცხუნვარე მზეს ემალება.		